საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 01 ივლისი, 2019 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/91

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერისიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში და მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) ანოტაცია - ნაშრომს ერთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე. ანოტაცია წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, რომელშიც აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, მეთოდოლოგია და ძირითადი შედეგები. მოცულობა არაუმეტეს 150 სიტყვისა;“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**